საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

I კვარტალი

2019

15.05.2019

www.geostat.ge

15.05.2019

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

(I კვარტალი, 2019 წელი)

2019 წლის I კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 1.6 მილიონი შემოსვლა, რაც 2.2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 47.4 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

2018-2019 წლების I კვარტალში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 1.3 მილიონი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით არის გაზრდილი.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2018-2019 წლების I კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

2018-2019 წლების I კვარტალში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2019 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1.0 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.7 პროცენტით არის გაზრდილი.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 0.9 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 5.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

2018-2019 წლების I კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 67.7 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 26.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 6.0 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	I კვარტალი, 2018 წელი	I კვარტალი, 2019 წელი
მხოლოდ ტურისტი	663.7	705.9
მხოლოდ ექსკურსანტი	298.4	274.1
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	63.0	62.7
სულ	1 025.1	1 042.8

2019 წლის I კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 222.7 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 21.4 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 24.3 პროცენტიან ზრდას 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა, 292.9 ათასი, აზერბაიჯანის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 3.0 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.
[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 48.0 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 34.8 პროცენტს შეადგენდა.

2019 წლის I კვარტალში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში საქართველოში შემოსული ვიზიტორების განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
ქალი	363.4	34.8
კაცი	679.4	65.2
სულ	1 042.8	100.0

2019 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 35.8 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტების განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	477.2	35.8
მეგობრების/ნათესავების მონახულება	288.2	21.6
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	206.8	15.5
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	164.2	12.3
შოპინგი	118.7	8.9
მკურნალობა, გაჯანსაღება	43.0	3.2
სხვა	35.4	2.7
სულ	1 333.5	100.0

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა ქ.თბილისსა და ქვემო ქართლში, შესაბამისად, 670.1 ათასი და 273.0 ათასი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.7 ღამე შეადგინა, რაც 2018 წლის I კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (4.3 ღამე) 14.4 პროცენტით ნაკლებია.

განხორციელებული ვიზიტების 79.5 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2019 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 1.2 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 15.2 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 16.1 პროცენტით შემცირდა და 889.7 ლარი შეადგინა.

2019 წლის I კვარტალში ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საკვები და სასმელი	310.5	26.2	232.9
განთავსება	305.3	25.7	228.9
გართობა	220.2	18.6	165.2
საყიდლები	156.5	13.2	117.3
ხანგრძლივი მოხმარების საგნები	89.2	7.5	66.9
ადგილობრივი ტრანსპორტი	86.0	7.3	64.5
ძვირფასი ნივთები	1.0	0.1	0.7
სხვა	17.6	1.5	13.2
სულ ხარჯი	1 186.4	100.0	889.7

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge